



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ**  
**საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ**  
**საკითხთა კომისია**



დასკვნა:დ12. 3722325001

თარიღი:21/11/2022

**დასკვნა**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 21 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

წარმოდგენილი პროექტის თანახმად ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრება 33 649,0 ათასი ლარით, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 5835,0 ათასი ლარით მეტია. საბიუჯეტო განაცხადის თანახმად განათლების დაფინანსება შეადგენს 6570,0 ათას ლარს, რაც 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელს 1250,0 ათასი ლარით აჭარბებს; მათ შორის სკოლამდელი განათლების დაფინანსება იზრდება 1180,0 ათასი ლარით.

პრიორიტეტი „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“ დაფინანსდება 5938,0 ათასი ლარით და ეს მაჩვენებელი 2022 წლის შესაბამის დონის 118,8%-ია; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დაიხარჯება 2453,0 ათასი ლარი, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 593,0 ათასი ლარით აღემატება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტთან მიმართებაში კომისიის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები ასე გამოიყურება:

პრიორიტეტების გაზრდილი დაფინანსების პირობები საშუალებას იძლევა პროგრამებისა და ქვეპროგრამების დონეზე შემოვიდეს ისეთი მიმართულებების დაფინანსება, რომლებიც წარმოდგენილ პროექტში ნაკლებად ან საერთოდ არაა გათვალისწინებული. ასეთია პრიორიტეტი „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“, რომელშიც თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაფინანსება გათვალისწინებულია მხოლოდ 154,0 ათასი ლარით. ამავე პრიორიტეტის პროგრამის „სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა“ აღწერილობით ნაწილში მოცემულია მხოლოდ სპორტის სახეობათა ჩამონათვალი და არ არის მოცემული ცალკეული სპორტული სახეობის მხარდაჭერის მიზნით მათი დაფინანსების ოდენობა. გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სპორტული წრეებიდან მოსწავლეთა მზარდი დაინტერესება ჭარდაკის სახეობით. სასურველია სპორტის ეს სახეობა მეტად იქნას მხარდაჭერილი პრიორიტეტის ფარგლებში.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მერიას წინამდებარე დასკვნაში მოცემული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

მარინა ვაშალომიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

